ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბგაშვილს

ბატონო გიორგი

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის წერილის N10/18489 პასუხად გაცნობებთ რომ საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 88–ე მუხლის პირელი პუნქტის შესაბამისად, ა/წ 29 ოქტომბერს 2 საათზე, საკრებულოში, თამარ მეფის სახელობის დარბაზში შედგება ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენა ჩემს მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ. ანგარიშს წარმოგიდგენთ დანართის სახით.

დანართი 08 ფურცელი.

პატივისცემით,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი

ჯ.ჯიშკარიანი

N10/18513 05.11.15

მოხარული ვარ გაგაცნოთ ინფორმაცია, ჩემს მიერ საკრებულოს სხდომებში, კომისიებსა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ. ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვიც პროცესი. ასევე ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო თუ ადგილობრივ ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგი და სამომავლო გეგმები.

2015 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა 25 საკრებულოს სხდომა სადაც განვიხილეთ 481 საკითხი, გარემოს დაცვის კომისიის 27 სხდომა-61 საკითხი, 24 სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა განხილულია 41 საკითხი და ფრაქციის 16 სხდომა

სხდომებზე განხილული ძირითადი საკითხებია:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" 2014 წლის ანგარიში და 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ. №2 1. სოციალურად დაუცველი სტატუსშეჩერებული სტუდენტების სწავლის გადასახადის შესაძლო დაფინანსების შესახებ ქ.თბილისის მერიის ბიუჯეტიდან. 2. უფასო სასადილოებში ბენეფიციარების კვების რაციონის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. მოისმინეს: ფრაქცია „ქართული ოცნება– დემოკრატიული საქართველოსთვის" ფრაქციის წევრთა მოსაზრებები დღის წესრიგით დაყენებული საკითხების შესახებ. №-3 1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2015 წლის (სექტემბერ-თებერვალი) 6 თვის გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ. (მომხსენებელი ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი პაატა ჯაჭვლიანი). 2. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" - ხედვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის

არსებული მდგომარეობის შესახებ. (მომხსენებელი - რამინა ბერაძე). №-4 1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის (სექტემბერ-თებერვალი) 6 თვის გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ. (მომხსენებელიკეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი ავთანდილ სუდაძე). 2. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" - ხედვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის არსებული მდგომარეობის შესახებ. (მომხსენებელი - რამინა ბერაძე). №-5 1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2015 წლის (სექტემბერ-თებერვალი) 6 თვის გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ. (მომხსენებელი არქიტექტურის საქალაქო სამსახურის უფროსი ნინო ღოღობერიძე). 2. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" - ხედვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის არსებული მდგომარეობის შესახებ. (მომხსენებელი - რამინა ბერაძე). №-6 1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის (სექტემბერ-თებერვალი) 6 თვის გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ. (მომხსენებელი ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი). 2. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" - ხედვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის არსებული მდგომარეობის შესახებ. (მომხსენებელი - რამინა ბერაძე). №-7 1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2015 წლის 6 თვის (სექტემბერი - თებერვალი) ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. მომხსენებელი - ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი. 2. ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის" ხედვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის არსებული მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელი - ფრაქციის თავმჯდომარე რიმა ბერაძე. №-8 1. ქალაქ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს 2015 წლის 6

თვის (სექტემბერი - თებერვალი) ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. მომხსენებელი - საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უფროსი თემურ თორდინავა. 2. ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის" ხედვა ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს არსებული მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელი - ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე თამარ ტალიაშვილი. 9 1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. მომხსენებელი - ზაზა გაბუნია 2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. მომხსენებელი - ბესიკ ქარცივაძე 3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. მომხსენებელი - გიორგი კოპალეიშვილი 4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. მომხსენებელი - ვახტანგ ქიზიყურაშვილი 5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" ხედვა ნაძალადევის, გლდანის, კრწანისის და ისნის რაიონების I კვარტალში, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ. მომხსენებელი - რიმა ბერაძე ნაძალადევი 10 1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. მომხსენებელი - მამუკა ჩოქური 2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. მომხსენებელი - ბექა მიქაუტაძე 3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. მომხსენებელი - გიორგი კოპალეიშვილი 4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. მომხსენებელი - გელა არჩვაძე 5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" ხედვა სამგორის, საბურთალოს, მთაწმინდის და ვაკის რაიონების I კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ. მომხსენებელი - რიმა ბერაძე სამგორი 11 1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

ჩუღურეთის რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. მომხსენებელი - ზურაბ ჩიკვილაძე 2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. მომხსენებელი - ირმა ზავრადაშვილი 3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" ხედვა ჩუღურეთის, დიდუბის, რაიონების I კვარტალში, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ. მომხსენებელი - რიმა ბერაძე 12 1. ერთაშორისი ურთიერთობების შესახებ. მომხსენებელი - გიორგი ალიბეგაშვილი 2. თბილისში მცხოვრებ ეროვნული უმცირესობების პრობლემების და სამომავლო გეგმების დასახვის შესახებ. მომხსენებელი - რიმა ბერაძე 3. სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეროვნულ უმცირესობის საბჭოს მუშაობის შესახებ. კობა ჩოპლიანი - ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს კოორდინატორი. 4. დისკუსია ეროვნული უმცირესობების პრობლემებთან დაკავშირებით . მიხეილ აიდინოვი ეროვნული უმცირესობის ლიდერთა საბჭოს კოორდინატორი. 13 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის შესახებ. 14 • სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირების წესი; • ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ სოციალურად დაუცველთათვის „სეთ-თოფ ბოქსების" გადაცემის წესი. 15 ქ. თბილისის განვითარების ფონდის შესახებ 16 გამგეობების 9 თვის ანგარიშის მოსმენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ჯაბა ჯიშკარიანის სამაჟორიტარო ბიუროს ფუნქციონირება, შესრულებული და სამომავლოდ დაგეგმილი სამუშაოები.

ჩემი სამაჟორიტარო რაიონში მცხოვრები მოსახლეობის ძირითად მოთხოვნებს წარმოადგენს:

- ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.
- მედიკამენტებისა და მკურნალობის კურსის დაფინანსება
- სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭება
- ბინის ქირით უზრუნველყოფა
- დასაქმება
- დროებითი საცხოვრებელი ფართის დამტკიცება

აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად პირველ რიგში ხდება ინფორმაციის, განცხადების ან ზეპირი სახით, მიღება. ამათუ იმ პრობლემაზე ინფორმაციის მისაღებად კვირაში ერთხელ პირადად ვმართავ შეხვედრებს მოსახლეობასთან ჩემს სამაჟორიტარო ბიუროში სულხან-საბას N1 ში. წლის განმავლობაში პირადად ვესაუბრე და დახმარება აღმოვუჩინ კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში 300ზე მეტ ადამიანს. თვეში ორჯერ თვითმართველობისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად ვხვდები მოსახლეობას უბნების მიხედვით ადგილზე ვეცნობი მათ პრობლემებს და ვაკალებ შესაბამის სტრუქტურებს მათ გადაწყვეტას.

1 წლის განმავლობაში შემოსული განცხადებების რაოდენობა 490

გარდა ამისა ბიურო ფუნქციონირებს ყოველდღიურად 12 დან 6 საათამდე სადაც ხდება მოსახლეობის წერილების, საჩივრებისა და წინადადებების მოსმენა განხილვა. ვუწევთ მათ კონსულტაციას და საჭიროებისამებრ ვუკეთებთ წერილობით ან ზეპირ შუამდგომლობებს სტრუქტურებთან რომელთა კომპეტენციაშიც შედის აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად გზების მოძებნა.

ბიუროკრატიული ვადების თავიდან ასაცილებლად მედიკამენტებისა და მკურნალობის კურსის დაფინანსების თხოვნით მოსულ მოქალაქეს პირადად მიყვება

ბიუროს თანამშრომელი დაფინანსების გამცემ სტრუქტურულ ერთეულთან და ეხმარება განცხადებისა და მასზე საჭირო თანდართული საბუთების მოძიებასა და ჩაბარებაში შემდეგ ზეპირი შუამდგომლობით უმოკლეს ვადებში ხდება განმცხადებლის დაკმაყოფილება. ამ მეთოდით წლის განმავლობაში ასობით ადამიანია დაფინანსებული.

მთაწმინდის რაიონის ჯერ კიდევ მოუგვარებელ ძირითად პრობლემას წარმოადგენს დასაქმება და სოციალური სტატუსის მინიჭება რაზეც ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა შესაბამის სტრუქტურებთან და შედეგი უახლოეს ვადებში იქნება თქვენთვის ცნობილი.

ინფორმაცია ადგილობრივ თვითმართველობასთან ერთად განხორციელებული, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური, პროექტების შესახებ.

წინასაარჩევნო პერიოდში მოსახლეობასთან შეხვედრებზე ჩემი ინიციატივით დარიგდა საინფორმაციო განცხადების ბლანკები, რისი საშუალებითაც შესაძლებელი გახდა არჩევნების დამთავრების შემდეგ დეტალური ინფორმაცია გვქონოდა მთაწმინდის რაიონში ჩასატარებელ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე. სულ შემოვიდა 2000-ზე მეტი განცხადება სწორედ ამ განცხადებების გათვალისწინებით მოვახდინე გამგეობასთან ერთად 2015 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა.

გამგეობისათვის ყველაზე დიდი გამოწვევაა თბილისის ახლად შემოერთებულ ტერიტორიაზე (წავკისი, შინდისი, ტაბახმელა, კიკეთი, კოჯორი) ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და კეთილმოწყობის სამუშაოების მოკლე ვადებში ჩატარება.

კიდევ ერთ სპეციფიკურ პრობლემას რაიონის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობების სიძველიდან გამომდინარე, წარმოადგენს შენობა-ნაგებობების ნგრევისა და ამის გამო მოსალოდნელი უბედური შემთხვევების თავიდან აცილება. გამგეობა იძულებულია მძიმედ ავარიულ შენობებზე ფორს-მაჟორულ სიტუაციაში განახორციელოს ავარიული ზონების გამაგრების სამუშაოები (წინმსწრებ-დამზღვევი ღონისძიებები). წლის დასაწყისიდან განვლილ პერიოდში, ამ მიზეზით გაფორმდა 14 ხელშეკრულება, რომელთა საშუალებით ძირითადად განხორციელდა შენობების ავარიული ზონების გამაგრების სამუშაოები (წინმსწრებ-დამზღვევი ღონისძიებები),

ხანძრის შედეგებისა და 13-14 ივნისის თბილისის სტიქიური მოვლენის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები.

განსახილველ პერიოდში გამგეობის მიერ ჩატარებული ინფრასტრუქტურული სამუშაოებიდან აღსანიშნავია დაბა კიკეთში, დიდების ქუჩაზე და დაბა კოჯორში, იუნკერებისა და უძოს ქუჩებზე სანიაღვრე არხების მშენებლობის სამუშაოები; გ. რჩეულიშვილის III ჩიხში სანიაღვრე ქსელის მოწყობა; ვ. ბერიძის ქ. 6-ში, ი. ნიკოლაძის ქ. 4-ში, ი. მაჩაბელის ქ. 4-ში, პ. იაშვილის ქ. 8ა-ში მდებარე ავარიული შენობების მწვავედ ვარიული უბნების გამაგრებითი სამუშაოები, აგრეთვე, ი. გოგებაშვილის ქ. 43-ში არსებული სკვერის აღდგენის და მ. ზანდუკელის ქ. 29/16-ში საზოგადოებრივი სივრცის (სკვერის) მოწყობის სამუშაოები. გასული 9 თვის განმავლობაში რაიონის ბიუჯეტის სახსრებით დაგებულია 62607,19 კვ.მ. ასფალტის საფარი და შეცვლილია 2257,75 კვ.მ. ქვაფენილი საერთო ღირებულებით 3397,0 ათასი ლარი. ამასთანავე, რაიონის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის კუთხით შესრულებულია 1861,0 ათასი ლარის სამუშაოები.

2015 წლის 13-14 ივნისის თბილისის სტიქიური მოვლენის შედეგად საგრძნობლად დაზიანდა რაიონის ინფრასტრუქტურული ობიექტები, კერძოდ: რჩეულიშვილის IV ჩიხი 3-ში მოწყვეტილი მიწის ნაკადი ჩამოიშალა ნ. ჟვანიას ქუჩაზე და უფრო მძიმე შედეგის თავიდან ასაცილებლად დაწყებულია გრუნტის დამჭერი კედლის აგება; სანაპიროს ქ. 6-ში დაიტბორა საცხოვრებელი სახლის ავტოსადგომი; სანაპიროს ქ. 10-ში დატბორილია „ლაგუნა ვერეს" მიმდებარე ტერიტორია და შენობები; კოჯორში, იუნკერების ქუჩაზე გადმოწვა სანიაღვრე; სკოლის ქუჩაზე, ოდიშელიძის ქუჩის დასაწყიში, ვ. ფშაველას ქ. 3-სა და 48-ში დაიტბორა მოსახლეობა; მოვარდნილმა წყალმა კოჯორში საძირკველი დააზიანა შემდეგ მისამართებზე: თაყაიშვილის ქ. 2, უძოს ქ. 5, 21, იუნკერების ქ. 24.

საგზაო ინფრასტრუქტურა კოჯორში დაზიანდა შემდეგ მისამართებზე: უძოს ქუჩა მთლიანად, თაყაიშვილის ქ. 3-თან ჩიხში, ბარათაშვილის ქუჩაზე, ბაქრაძის ქუჩის მე-2 ჩიხის ბოლოში ჩამოიშალა სამანქანო გზა, ოდიშელიძის ქუჩის ბოლოს სამანქანო გზა უმოქმედო გახდა, სკოლის ქ. 19-ში სკოლის შესასვლელ გზას გაუჩნდა ნაპრალები. კიკეთში საგზაო ინფრასტრუქტურა დაზიანდა ამაღლების და სამპანტების ქუჩებზე.

ყველა ამ მისამართზე მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 1,5 მლნ. ლარს.

მიუხედავად აღნიშნული ფორსმაჟორული სიტუაციისა, შემუშავებული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე მიმდინარეობს რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების სრულყოფისა და კეთილმოწყობის სამუშაოები. კერძოდ, სკვერების შეკეთება-ახლის მოწყობის სამუშაოები ხორციელდება კ. კეკელიძის 2-ში, რუსთაველის გამზ. 52-ში, რ. მიმინოშვილის ქ. 6-ში და რ. ლაღიძის ქ. 2-ში.

მთაწმინდის რაიონისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების აქტიური განხორციელება და ამის საფუძველზე ავარიულ სახლებში მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება. თუმცა, ჩვენი რაიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვინაიდან ავარიული შენობების უმრავლესობა არის შეტანილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში, გართულებულია მათი აღდგენისა და რესტავრაციის სამუშაოების ჩატარებაზე ნებართვის მიღება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ავარიული შენობების გადარჩენისაკენ მიმართული ღონისძიებების ჩატარებას.

რაიონის ბიუჯეტის ხარჯების თითქმის 20%-ს შეადგენს მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებები. აღნიშნული სახსრებით ხორციელდება რაიონის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთათვის ჯანდაცვის ობიექტებში ჩატარებული მომსახურების სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება, დაგროვილი კომუნალური გადასახადების დაფარვაში დახმარების გაწევა, საყოფაცხოვრებო პირობების შემსუბუქების საქმეში თანადგომის აღმოჩენა, რაიონში მცხოვრები მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა უფასო კვებით მომსახურება და სხვა. სოციალურ სფეროზე ორიენტირებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების დიდი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველ მოსახლეობასთან გულისხმიერი დამოკიდებულება და მათდამი თანადგომა. რაიონის ტერიტორიაზე დღეისათვის ფუნქციონირებს 5 უფასო სასადილო, სადაც ყოველდღიურად სადილობს რაიონის 2600 სოციალურად დაუცველი მაცხოვრებელი.

სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში გამგეობაში შემოდის ბევრი განცხადება დახმარების მიღების თაობაზე. გამგეობის თანამშრომლების მიერ ხდება თვითოეული ამ განცხადების განხილვა, მისი საფუძვლიანობის შემოწმება და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება მისი დაკმაყოფილების, ან უარის თაობაზე. საანგარიშო პერიოდში სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებების პროგრამიდან დაფინანსებული იქნა - 1253,8 ათასი ლარის დახმარება.

ბოლო პერიოდში გაიზარდა ავარიულ შენობებში მობინადრე მაცხოვრებელთა განცხადებების რაოდენობა, რომლებიც ითხოვენ ავარიული საცხოვრებელი სახლებიდან გაყვანას და ქირით უზრუნველყოფას. დღეისათვის რაიონის ბიუჯეტიდან ბინის ქირის კომპენსაცია გაიცემა 130 ოჯახზე და ახლო მომავალში მოსალოდნელია მათი რიცხვის გაზრდა. გასულ 9 თვეში ბინის ქირის კომპენსაციის სახით გაცემულია 342,3 ათასი ლარი.